

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

სესხი N: 3063 –GEO

პროექტის ნომერი: 42414-043

ანგარიშის პერიოდი: მარტი-აგვისტო, 2015

საქართველო: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის
საინვესტიციო პროგრამა, ტრანში 3

(აზიის განვითარების ბანკის დაფინანსება)

მომზადა: ნინო ნადაშვილი- გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი, გარემოს
დაცვის და განსახლების სამსახური, მუნიციპალური განვითარების ფონდი,
თბილისი, საქართველო

დამტკიცებულია: გიგა გველესიანი - გარემოს დაცვის და განსახლების სამსახურის უფროსი,
მუნიციპალური განვითარების ფონდი, თბილისი საქართველო

სექტემბერი, 2015

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

აბრევიატურები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
EA	აღმასრულებელი სააგენტო
EARF	გარემოსდაცვითი შეფასების და მიმოხილვის ჩარჩო დოკუმენტი
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EIP	გარემოზე ზემოქმედების ნებართვა
EMP	გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა
EPSM	პროექტირება შესყიდვები და მშენებლობის მართვა
GoG	საქართველოს მთავრობა
SUTIP IA	საქართველოს მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა განმახორციელებელი სააგენტო
IEE	საწყისი გარემოსდაცვითი კვლევა
MDF	მუნიციპალური განვითარების ფონდი
MFF	მრავალტრანშიანი დაფინანსების პროგრამა
MoENRP	გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MoRDI	რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
SSEMP	გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა კონკრეტული ობიექტისათვის

სარჩევი

1.	ნაწილი I. შესავალი	4
1.1.	პირველადი ინფორმაცია	4
1.2	სამშენებლო სამუშაოები და პროექტის წინსვლა საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე.....	5
1.3.	ურთიერთობა კონტრაქტორთან, მესაკუთრესთან და მსესხებელთან ..	Error! Bookmark not defined.
2.	ნაწილი II: გარემოსდაცვითი მონიტორინგი.....	10
3.	ნაწილი III: გარემოსდაცვითი ღონისძიებები	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
3.1	გარემოსდაცვითი ღონისძიებების სისტემა, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა კონკრეტული ობიექტისათვის და სამუშაოების გეგმა	Error! Bookmark not defined.
3.2	ობიექტის ინსპექტირება და აუდიტი	17
3.3	შეუსატყვისობების შეტყობინებები და გამოსასწორებელი სამუშაოები	19
3.4	კონსულტაცია და საჩივრები	Error! Bookmark not defined.
3.5	სამოქმედო გეგმა შემდგომი პერიოდისათვის.....	Error! Bookmark not defined.
4.	დანართები	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
4.1	მონიტორინგის მონაცემები	Error! Bookmark not defined.
4.2	გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების ანგარიში/ საწყისი გარემოსდაცვითი კვლევა/გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა კონკრეტული ობიექტისათვის შემამსუბუქებელი მოთხოვნები	Error! Bookmark not defined.
4.3.	ჰაერის და ზღვის წყლის ანალიზის შედეგები ჰაერის და ზღვის წყლის ანალიზის შედეგები	
4.4	ფოტო მასალა	

1. ნაწილი I: შესავალი

1.1 წინასწარი ინფორმაცია

პროექტის საფუძველი

ადგილობრივი ტრანსპორტის და ტრანსპორტთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განახლება და გაუმჯობესება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარებაში. ამ მიზნით მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა და დაფინანსდა როგორც საქართველოს ბიუჯეტიდან ასევე სხვადასხვა წყაროებიდან. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხებისა და გრანტების მეშვეობით მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამის დაფინანსება.

2013 წლის 19 დეკემბერს საქართველოსა და აგბ-ს შორის გაფორმდა MFF - მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის ტრანში 3 სასესხო და საპროექტო ხელშეკრულებები. ტრანში 3 ფარგლებში, აგბ სესხის ამღებზე გასცემს სესხს სამოცდაცამეტი მილიონი აშშ დოლარის ოდენობით (\$73 მილიონი) აგბ-ს ორდინარული კაპიტალური რესურსებიდან. ტრანში 3 დასრულება დაგეგმილია 2018 წლის 30 ივნისისათვის, ხოლო სესხის დახურვის თარიღს წარმოადგენს 2018 წლის 31 დეკემბერი.

პროგრამა უზრუნველყოფს ეფექტურ საიმედო და ხელმისაწვდომ ურბანულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას და მომსახურებებს, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და გააუმჯობესებს 1.5 მილიონზე მეტი ადამიანის საარსებო საშუალებებს (საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 35 %). პროგრამა ასევე გააუმჯობესებს საზოგადოების ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და ხელმისაწვდომობას კომუნალურ და სოციალურ სამსახურებზე. ხელს შეუწყობს ეფექტურ და მდგრად ურბანულ ტრანსპორტირებას, შექმნის შემოსავალს და დასაქმების შესაძლებლობებს.

გარემოსდაცვითი კლასიფიკაციის მიხედვით ტრანში 3 განეკუთვნება ბ კატეგორიას, როგორც ყველა ქვეპროექტი SUTIP 1 -ის ფარგლებში, რომელებსაც მშენებლებისას და მის შემდგომ არ ექნებათ გარემოზე მნიშვნელოვანი შეუქცევადი ან მუდმივი ნეგატიური ზეგავლენა და საჭიროებს IEE -ის მომზადებას. ქვე პროექტის გარემოსდაცვითი კატეგორიზაცია ჩატარდა აგბ-ს უსაფრთხოების პოლიტიკის გამოყენებით (2009).

პროექტის არეალი

მდგრადი ურბანული საინვესტიციო პროგრამის ტრანში 3 მოიცავს შემდეგ ქვეპროექტებს:

(ა) დაახლოებით 6.8 კილომეტრიანი 4-ზოლიანი ურბანული ტიპის გზის მშენებლობა რუსთავსა და თბილისის შორის, 2 კილომეტრიანი ურბანული ბულვარისა და რეკრეაციული ზონის ჩათვლით;

(ბ) დაახლოებით 1.2 კილომეტრიანი ნაპირდამცავი კონსტრუქციის მშენებლობა ქალაქ ანაკლიაში (II ფაზა); და

(გ) პროექტის განხორციელების ხელშეწყობა ფინანსური აუდიტის და დამოუკიდებელი უსაფრთხოების მონიტორინგით.

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

თბილისი-რუსთავის ურბანული ტიპის გზის (მეორე მონაკვეთი) პროექტის აღწერა:

პროექტი ითვალისწინებს თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაციას. საპროექტო გზა საქართველოს დედაქალაქს აკავშირებს მთავარ სამრეწველო და ადმინისტრაციულ ცენტრთან - რუსთავთან და რაიონულ ცენტრ გარდაბანთან. გზის სახვა მონაკვეთების პროექტირება და მშენებლობა მოქალაქეებს საშუალებას მისცემს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში იმგზავრონ, ხოლო საქონელს - გადატანილი იქნას კომფორტული და თანამედროვე ავტომგისტრალის მეშვეობით. იგი ასევე უფრო ხელმისაწვდომს გახდის აზერბაიჯანის მოსახლეობისათვის თბილისსა და საქართველოს შავი ზღვის პორტებს. ზემოხსენებულის გარდა, რუსთავისა და გარდაბნის მოსახლეობა არის გზის უმთავრესი მომხმარებელი. საპროექტო გზის ხსენებული მონაკვეთი გადატვირთულია, მისი AADT შეადგენს 15,100 სატრანსპორტო საშუალებას დღეში, მაშინ როდესაც გზის გამტარუნარიანობა მხოლოდ 7,000 შეადგენს. უკანასკნელმა განსაზღვრა თბილისი-რუსთავის გზის I კატეგორიის გზად მოდერნიზაციის პრიორიტეტულობა, რომელსაც ექნება 4 ზოლი და 120 კმ/სთ საპროექტო სიჩქარე. ურბანული ტიპის გზის მთლიანი სიგრძე შეადგენს 18.1 კმ-ს. ტენდერი დაგეგმილია 2015 წლის მეოთხე კვარტლისათვის. კონტრაქტის წინასწარი ღირებულება შეადგენს 65,8 მილიონ აშშ დოლარს.

ანაკლიის სანაპირო ზოლის გაუმჯობესების EPCM (ფაზა 2) პროექტის აღწერა

ანაკლიის სანაპირო ზოლის გაუმჯობესება (ფაზა 2) პროექტის აღწერა: ანაკლია არის ზღვისპირა პატარა საკურორტო ქალაქი დასავლეთ საქართველოში. ადგილი, სადაც მდინარე ენგური ერთვის შავ ზღვას, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს. პროექტი მიზნად ისახავს ანაკლიის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციას, პლიაჟების პროფილების სრულ აღდგენას შესაძლებელი ზღვარის ფარგლებში (რაც აუცილებელია ტალღ მტეხებისა და მისი სიმძლავრის ჩასახშობად) და ყველაზე ოპტიმალური სახეობის და ნაპირ დამცავი ნაგებობების ჰიდრო ტექნიკური დიზაინის შერჩევას. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს რათა მოხდეს ანაკლიის სანაპირო ზოლის რეაბილიტაცია და გაფართოება რაც დაიცავს მიწას და ინფრასტრუქტურას ეროზიისა და დაზიანებისაგან, თავიდან ააცილებს სხვა ხარჯებს და გაიზრდის ტურისტთა რაოდენობას. ინტერვენციისათვის, სარგებელი ჩნდება სასოფლო მიწის, სახლების, გზების და სხვა ინფრასტრუქტურის დაცვიდან. ნაპირის დაცვის ზომების ჩატარება საჭიროა უნიკალური ადგილების და ლანდშაფტის დასაცავად. დაახლოებით 4 კმ სანაპირო ზოლის პროექტი, შექმნის ახალ და მიმზიდველ ტურისტულ გარემოს შავ ზღვაზე, რაც შეძლებს განავითაროს ზუგდიდის განმუხურისა და ანაკლიის რეგიონები.

1.2. სამშენებლო სამუშაოები და პროექტის პროგრესი ანგარიშგების მანძილზე.

ანაკლიის სანაპირო ზოლის გაუმჯობესების EPCM სამშენებლო სამუშაოები (ფაზა 2) სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტი 2014 წლის 26 სექტემბერს გაფორმდა შპს „მოდერნ ბიზნეს ჯგუფ“-თან (აზერბაიჯანი) რომლის თანხაც შეადგენდა 12,252,937.48 ლარს რაც დაახლოებით 7 მილიონი დოლარის ექვივალენტია. სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2015 წლის 18 თებერვალს. პროექტის განხორციელებისას ადგილი ქონდა მნიშვნელოვან

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

შეფერხებებს. ამჟამად შეფერხებები დაძლეულია თუმცა სამუშაოები კვლავ ნელი ტემპით მიმდინარეობს, რაც ძირითადად გამოწვეულია კონტრაქტორის მიერ წყალქვეშა სამუშაოებისათვის ყველა საჭირო აღჭურვილობის მობილიზაციის უუნარობით.

ანგარიშის პერიოდში კონტრაქტორი კომპანიის მიერ შესრულდა შემდეგი სამშენებლო სამუშაოები:

- ზღვაში ქვებით შევსების სამუშაო-4,029 მ3;
- ტეტრაპოდების განთავსება ზღვაში- 809 ერთეული
- 5 ტონა ტეტრაპოდების ჩამოსხმა-3,543 ერთეული
- ზღვის ფსკერის დრაგირება- 439 მ3;
- ზღვის ფსკერის მოსწორება- 2,033 მ2;
- ხელოვნური ქვიშის დაყრა (მომავლის ბანაკის წინ)- 12,370 მ3;

2015 წლის სექტემბრამდე ზემოთნახსენები სამუშაოებისათვის კონტრაქტორმა უზრუნველყო შემდეგი სამშენებლო მასალა:

- ბუნებრივი ყორე ქვა- 1,400 მ3;
- ღორღი- 4,889 მ3;
- ქვიშა- 4,855 მ3;
- ღორღი - 2,836 მ3.
- ცემენტი - 2,619 ტონა;

კონტრაქტორი შემდეგი ლიცენზირებული კომპანიებიდან შეიძნა სამშენებლო მასალას- ქვიშა, ყორე ქვა და ა.შ: ღორღი - შპს “პულსარი” კონტრაქტის N HEC-09, შპს ენგური+“ კონტრაქტის N HEC-00 და „ ბიგ ენერჯი“ კონტრაქტის N HEC-08/1; ქვიშა- კომპანია „ლაზიკა“ კონტრაქტის N HEC-12; ბუნებრივ ყორე ქვა- კომპანია „გრუპოვია“ კონტრაქტის N HEC-07. აგვისტოს ბოლოსთვის სამშენებლო სამუშაოების ფიზიკური პროგრესი არის 35, 68%.

კონტრაქტორის არასათანადო შესრულება: MRDI და MDF ითვალისწინებს კონტრაქტის შეჩერებას კონტრაქტორის მიერ სამუშაოების არასათანადო შესრულებიდან გამოდინარე, რადგანაც მან ვერ მოახდინა ტეტრაპოდების განთავსების სამუშაოების შესაძლებლობის დემონსტრირება მგფ-ს მიერ ვადის გაგრძელების მიუხედავად.

ღრმა ზღვის პორტის პროექტი. როგორც მთავრობის მიერ მიწოდებული იყო ინფორმაცია აგბ-სათვის ღრმა ზღვის პორტის აშენება გათვალისწინებულია ანაკლიაში, მსგავსი ჩარევა მოხდება SUTIP 1 და 3 ტრანშეებით დაფინანსებული ანაკლიის სანაპირო ზოლის დაცვის ქვ პროექტთან, ამ ეტაპზე მუშავდება კონცეფციის სამუშაო ვერსია რომელიც დასრულდება 2015 წლის სექტემბერში.

ვარიანტები: MRDI აღნიშნა რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნებოდა ამ პროექტისათვის 2015 წლის სექტემბერში და დაადასტურა რომ კონტრაქტები შეწყდებოდა ღრმა ზღვის პორტის საკითხის დამოუკიდებლად. მიუხედავად ამისა განხილულ და გათვალისწინებულ იქნა რამდენიმე ვარიანტი, ქვემოთ აღწერილია ორი ძირითადი ვარიანტი.

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

(i) ახალი ტენდერი. რადგანაც ტეტრაპოდები უკვე ჩამოსხმულია, შეუსრულებელი სამშენებლო სამუშაოები იქნება არსებული დიზაინის შესაბამისად ტეტრაპოდების წყლის ქვეშ განთავსება. ახალი ტენდერი შესაძლებელია დაიწყოს იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება ღრმა ზღვის პორტის ჩარევა სანაპირო ზოლის დამცავ პროექტში ან ღრმა ზღვის პორტის დასრულება არ იგეგმება მომავალ წლებში. ასეთ შემთხვევაში ამ დროის მანძილზე საჭირო იქნება ნაპირის დაცვა, ეს საეჭვოა ამ ეტაპისათვის.

(ii) ღრმა ზღვის პორტის პროექტის მიერ გამოყენებული ტეტრაპოდები.

დაწყებული იმ ვარაუდით რომ ღრმა ზღვის პორტი განხორციელდება იმავე პროექტის არეალში, მთავრობამ უნდა შეიტანოს ახალ კონტრაქტში ვალდებულება ტეტრაპოდების გამოყენების შესახებ ღრმა ზღვის პორტისათვის და დარჩენილი სანაპირო ზოლის დაცვა (ანაკლიის სანაპირო ზოლის დაცვის 1 და 2 ფაზის მიხედვით). ეს მთავრობის მხრიდან იქნება ახალ კონტრაქტში ბუნებრივი კონტრიბუცია ვალდებულებით რომ მოიცვას ღრმა ზღვის პორტის პროექტში დარჩენილი სანაპირო ზოლის ნაპირის დაცვა (სასტუმროების წინ). ტეტრაპოდები გადაეცემა მთავრობას ხოლო კონტრაქტორის მიერ გამოყენებას მონიტორინგს გაუწევს მთავრობა და ანგარიში ჩაბარდება აგბ-ს. თუმცა ამგვარი ვარიანტი მოქმედებამდე უნდა განხილულ იქნას უფრო დეტალურად და მოხდეს მისის შეთანხმება აგბ-სთან.

ანაკლიის სანაპირო ზოლის დაცვის პროექტის ახალი დიზაინი. ეს იქნება სანაპირო ზოლის მონაკვეთების დაცვა ვიდრე ღრმა ზღვის პორტის არეალის. ეს არ არის რეალისტური ვარიანტი, დარჩენილი ნაპირის დაცვის პროექტის განსაზღვრამდე ჯერ უნდა დასრულდეს ღრმა ზღვის პორტის ფაქტიური პროექტი. სხვა გართულებებს შორის, ეს შექმნის სერიოზულ გამოწვევას ინტერფეისის მართვის კუთხით. ესეთ შემთხვევებში უმჯობესია ვარიანტი 2.

შეთანხმდა რომ ეს საკითხი განიხილება მომავალშიც შემდეგი ADB SUTIP სესხის განხილვის მისიაზე. მისიამ მოითხოვა მთავრობას დააფიქსიროს მისი გარკვეული პოზიცია არაუგვიანეს 2015 წლის 30 სექტემბრისა.

თბილისი-რუსთავის ურბანული ტიპის გზა (მონაკვეთი 2) - ა/გ - თბილისი-რუსთავის პროექტის ფარგლებში ჯერ არ დაწყებულია სამშენებლო საქმიანობა.

1.2 ცვლილებები პროექტის ორგანიზაციასა და გარემოსდაცვითი მართვის გუნდში

MDF წარმოადგენს პროექტის საერთო განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას. დონორებთან შეთანხმებით, 2013-2015 წლებში მან განახორციელა სტრუქტურული რეორგანიზაცია. რეორგანიზაცია მოიცავდა სამსახურების რაციონალიზაციას და შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების ახალი შტატის დანიშვნას, იქამდე არსებული გუნდის გასაძლიერებლად. MDF-ის ახალი აღმასრულებელი დირექტორი ბ-ნი ჯუანშერ ბურჭულაძე 2015 წლის ივლისში დაინიშნა. საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანების საფუძველზე. გარემოსდაცვითი საკითხების მართვა ხორციელდება MDF-ის გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის მიერ, რომელიც 2014 წლის ოქტომბერში შეიქმნა. იმ დროისათვის გარემოს დაცვისა და განსახლების გუნდის წევრების რაოდენობა 6-დან 9-მდე გაიზარდა და ამჟამად იგი შედგება შემდეგი თანამშრომლებისაგან: სამსახურის უფროსი, 3 გარემოს დაცვის

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

უსაფრთხოების სპეციალისტი, ერთი უსაფრთხოების სპეციალისტი, ერთი სოციალური უსაფრთხოების სპეციალისტი, 2 განსახლების სპეციალისტი და ერთი ADB-ის ინდივიდუალური კონსულტანტი განსახლების საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ასევე წარმოადგენს გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის წევრს. ოქტომბრის თვემდე, გარემოსდაცვითი და განსახლების უსაფრთხოების გუნდი შედგებოდა 3 გარემოსდაცვითი უსაფრთხოების და 2 განსახლების სპეციალისტისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენდა ADB-ის ადგილობრივ კონსულტანტს განსახლების საკითხებში. გარემოსდაცვითი და განსახლების უსაფრთხოების გუნდს ჰყავდა გუნდის ხელმძღვანელი, რომელიც წარმოადგენდა MDF-ის აღმასრულებელი დირექტორის მრჩეველს გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების საკითხებში. 2015 წლის 10 აგვისტოს გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის უფროსი დავით ტაბიძე დაინიშნა აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ. მისი შემცვლელის კანდიდატურა ამჟამად განხილვის პროცესშია.

MDF პასუხისმგებელია პროექტების ზოგად მართვაზე, დაგეგმვასა და ზედამხედველობაზე. MDF უზრუნველყოფს, რომ პროექტით გამოწვეული პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები მინიმუმამდე იქნას დაყვანილი შემამსუბუქებელი ზომების განხორციელების მეშვეობით, რომლებიც მითითებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებებში (EIAs), ან საწყის გარემოსდაცვით კვლევებში (IEE), გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმების (EMPs), და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმების კონკრეტული ობიექტისათვის (SSEMPs) ჩათვლით.

MDF-ის გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახური ახორციელებს გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების საკითხების გადაჭრას პროექტების სრული ციკლის განმავლობაში. გარემოს დაცვის სპეციალისტი, რომელიც განპიროვნებულია ADB-ის პროექტების ზედამხედველობაზე, მიმოიხილავს პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასებებს (EIAs), და ახორციელებს შესრულების ზედამხედველობას დამტკიცებული EMP-ების/SSEMP-ების, EIA-ების, და გარემოსდაცვითი სტანდარტების საფუძველზე, ADB-ის “უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის” (2009) მოთხოვნების და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ამის გარდა, MDF-ის მიერ დაქირავებულ ინდივიდუალურ კონსულტანტებს წვლილი შეაქვთ მისი რეაგირების უნარის და ADB-ისადმი ანგარიშგების ეტაპობრივ გაუმჯობესებაში.

1.3 ურთიერთობები კონტრაქტორებთან, მფლობელებთან, მსესხებელთან და ა.შ.

თბილისი-რუსთავის ურბანული ტიპის გზა (მონაკვეთი 2)

EPCM კონსულტანტმა “Dohwa Engineering ltd” (კორეა) და “Transproject ltd” (საქართველო) ერთობლივმა საწარმომ მოამზადა დეტალური პროექტი, რომელიც MDF-ისათვის 2013 წლის 30 ივლისს იქნა წარდგენილი. დეტალურ პროექტში შეტანილი იქნა ცვლილებები იმ კომენტარებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, რომელიც წარმოადგინა საერთაშორისო საგზაო კონსულტანტმა, საქართველოს ექსპერტიზამ და MDF-მა. დეტალური პროექტის საბოლოო ვერსია დასრულების პროცესშია და MDF-ისათვის წარმოდგენილი იქნება 2015 წლის სექტემბერში².

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

დეტალური პროექტისათვის საბოლოო სახის მიცემის შემდეგ, რომელშიც ასახული იქნება 10 საცხოვრებელი კორპუსის კონსტრუქციული მდგრადობის კვლევის შედეგები და რეკომენდაციები და ხმაურისა და ვიბრაციის მოდელირება, თბილისი-რუსთავის ურბანული ტიპის გზის მეორე მონაკვეთის პროექტისათვის ჩატარდება ტენდერი. IEE ასევე საბოლოო სახით ჩამოყალიბდება ხსენებული კვლევის დასკვნების საფუძველზე³.

საკონსულტაციო კომპანია - Nord East Progetti S.r.l. Engineering, რომელსაც უნდა ჩატარებინა შენობების კონსტრუქციული მდგრადობის და მათზე ხმაურისა და ვიბრაციის ზემოქმედების კვლევა თბილისი-რუსთავის გზის საპროექტო მონაკვეთზე (მონაკვეთი 2) შერჩეული იქნა და მასთან 2014 წლის 14 დეკემბერს გაფორმდა კონტრაქტი. MDF მჭიდროდ თანამშრომლობდა მკვლევარ კონსულტანტთან, თბილისი-რუსთავის გზის პროექტის EPCM კონსულტანტ 'Dohwa'-სთან, და ინდივიდუალურ გზის კონსულტანტთან რათა დროულად განეხორციელებინა დაგეგმილი საქმიანობები და დროულად უზრუნველყო დეტალური პროექტისა და სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო სახით მომზადება.

ანაკლიის სანაპირო ზოლის გაუმჯობესების პროექტი (ფაზა 2)

2014 წლის 26 სექტემბერს სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტი მიენიჭა Modern Business Group-ს (აზერბაიჯანი), ამგვარად, ამ პროექტს განახორციელებს იგივე კონტრაქტორი, რომელმაც ანაკლიის სანაპირო ზოლის გაუმჯობესების პროექტი (ფაზა 1) შეასრულა. რადგანაც, MDF არ იყო კმაყოფილი კონტრაქტორის მოღვაწეობით პროექტის ფაზის 1 ფარგლებში, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ შეტყობინება სამუშაოების დაწყების შესახებ კონტრაქტორს გეგმავნება 2015 წლის თებერვლის შუა რიცხვებში, მხოლოდ მას შემდეგ რაც კონტრაქტორი მნიშვნელოვან წინსვლას უჩვენებს პირველი ფაზის ქვეპროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებში. კონტრაქტორს მოეთხოვა ობიექტზე მობილიზება გაუკეთოს ყველა სახის საზღვაო სამუშაოებისათვის საჭირო აღჭურვილობას. კონტრაქტორმა მოახდინა დამატებითი საზღვაო ტრანსპორტისა და სხვა აღჭურვილობის მობილიზაცია.

MDF წარმოადგენს პროექტის აღმასრულებელ, განმახორციელებელ და გადამხდელ ორგანიზაციას. MDF პასუხისმგებელია უსაფრთხოების ყველა დავალების შესრულებაზე და იმის გარანტირებაზე, რომ პროექტის განხორციელებით გამოწვეული პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე მინიმუმამდე იქნას დაყვანილი EIA-ში და შესაბამისად - IEE-ში მოცემული შემამსუბუქებელი ზომების გამოყენებით.

კონტრაქტში გაწერილი უსაფრთხოების დებულებების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი უნდა იცავდეს ყველა შესაბამის ადგილობრივ გარემოსდაცვით კანონსა და რეგულაციას და IEE-ში და EMP/ SSEMP-ში მითითებულ ზომებსა და მოთხოვნებს. გარემოზე ზემოქმედების მართვისათვის, და IEE-ში და EMP/SSEMP-ში გაწერილი მონიტორინგისა და შემამსუბუქებელი ზომების განხორციელებისათვის, კონტრაქტორმა უნდა ააწყოს ეფექტური მოქმედი სისტემა და წარუდგინოს ადეკვატური ანგარიშები საზედამხედველო კომპანიას (DOHWA) ამგვარი ზომების განხორციელებასთან დაკავშირებით. მშენებლობის საზედამხედველო კომპანია პასუხისმგებელია ყველა გარემოსდაცვითი საკითხის ზედამხედველობაზე პროექტის განხორციელების პერიოდში.

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

მშენებლობის საზედამხებველო კომპანია პასუხისმგებელია ყველა გარემოსდაცვითი საკითხის ზედამხებველობაზე პროექტის განხორციელების პერიოდში. სამუშაოების წარმოებისას სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი ვალდებულია დაიცვას EMP -ში და SSEMP-ში მითითებული მიღებული სამშენებლო პრაქტიკა. სამუშაოების წარმოებისას წამოჭრილი ყველა გარემოსდაცვითი საკითხი მათი გარემოს დაცვის სპეციალისტის მიერ მყისიერად უნდა იქნას მიტანილი MDF-ის გარემოსდაცვითი გუნდის საყურადღებოდ, რათა განხორციელდეს ძალისხმევის კოორდინაცია და უზრუნველყოფილი იქნას ზემოქმედების შემსუბუქება, გარემოს დაცვა და ადგილობრივი თემების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შენარჩუნება.

სამშენებლო კომპანიის გარემოს დაცვის სპეციალისტი პასუხისმგებელია EMP/SSEMP-ის განხორციელებაზე, ყოველდღიურ გარემოსდაცვით მონიტორინგსა და ანგარიშგებაზე. მშენებელი კონტრაქტორი ამზადებს ყოველთვიურ ანგარიშებს SSEMP-ების განხორციელების სტატუსის შესახებ. ისინი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმ საქმიანობების ძირითადი ტიპების შესახებ, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა, ასევე ინფორმაციას იმ ნებართვებისა და ლიცენზიების სტატუსის შესახებ, რომლებიც საჭიროა ამგვარი საქმიანობების განხორციელებისათვის, გამოყენებულ შემამსუბუქებელ ზომებს, და ნებისმიერ გარემოსდაცვით საკითხებს, რომელიც წარმოიშვა მომწოდებლებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან და ა.შ. დაკავშირებით.

საზედამხებველო კომპანია ამზადებს კვარტალურ ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს SSEMP-ის განხორციელებას, SSEMP-თან შეუსატყვისობებს და ჯანმრთელობისა და გარემოსა და სოციალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შემთხვევებსა და ინციდენტებს, რასაც პროექტის განხორციელების მსვლელობაში ჰქონდა ადგილი. კვარტალური გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში (N2) 2015 წლის მაის-ივლისის პერიოდისათვის, საკონსულტაციო კომპანიამ 2015 წლის აგვისტოში წარმოადგინა.

MDF უზრუნველყოფს ყველანაირი გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, და ხელს უწყობს პროექტების ზედამხებველობას გარემოსდაცვითი კუთხით. MDF თავისი გარემოს დაცვის სპეციალისტის მეშვეობით EMR-ებით ახორციელებს სამშენებლო სამუშაოების გარემოსდაცვითი შესატყვისობის სტატუსთან დაკავშირებით ანგარიშგებას ADB-ის წინაშე ყოველ 6 თვეში ერთხელ.

2. ნაწილი II: გარემოსდაცვითი მონიტორინგი

გარემოს დაცვის მონიტორინგის ზომები მოიცავს სამშენებლო მოედნის ზედამხებველობას, ნებართვების შემოწმებას, კონტრაქტორის შესრულების შესაბამისობის მონიტორინგსა და გარემოზე ზემოქმედებების როგორცაა ხმაური, მტვერი, ნიადაგის, წყლის ჰაერის დაბინძურების მონიტორინგს.

EMP არის სამშენებლო კონტრაქტის ინტეგრირებული ნაწილი. მგფ მოითხოვს კონტრაქტორის და მისი საზედამხებველო კომპანიებისაგან სამშენებლო სამუშაოების წარმართვას გარემოს მართვის გეგმის შესაბამისობის დაცვით, რომელიც არის გარემოს თავდაპირველი შეფასების

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

დოკუმენტის (IEE)-ის ნაწილი და მოიცავს გარემოს შეფასებებს და განხილვის ჩარჩო დოკუმენტს.

SUTIP T3-ის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების დაწყებისთანავე დაიწყო გარემოსდაცვითი მონიტორინგი. EMP -ს მოთხოვნების შესაბამისად მოხდა გარემოსდაცვითი უსაფრთხოების მონიტორინგი ჩატარება. მგფ წარუდგენს აგბ-ს ნახევარ წლიან გარემოს დაცვის მონიტორინგის ანგარიშებს რომელიც ასახავს EMP-ს განხორციელების პროგრესს, შესაბამისობის საკითხებს და გამოსასწორებელ ზომებს 1 თვის ვადაში თითოეული ანგარიშის პერიოდის შემდეგ. იმ შემთხვევაში თუ მშენებლობისას, განხორციელებისას ან ოპერირებისას ადგილი ექნება რაიმე სახის გაუთვალისწინებელ გარემოს და/ან სოციალურ რისკებს და ზემოქმედებებს, რომელიც არ იყო გათვალისწინებული IEE, და EMP-ში, მგფ მყისიერად ატყობინებს მოვლენის დეტალური აღწერით აგბ-ს და სთავაზობს გამოსასწორებელ გეგმას ამგვარი რისკების ან ზემოქმედებების შესახებ.

ანგარიშის პერიოდში სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა მხოლოდ ანაკლიის სანაპირო ზოლის გაუმჯობესების ქვე პროექტზე (ფაზა 2) აქედან გამომდინარე ქვემოთ მოყვანილი პუნქტი მოიცავს ნახსენებ ქვ პროექტთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

როგორც ზემოთ იყო ნახსენები მნიშვნელოვნად დაეცა სამშენებლო სამუშაოების ტემპი, რის გამოც გარემოზე ზემოქმედების დონე მინიმუმამდეა დასული.

ანგარიშის პერიოდში არ გამოვლენილა სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული გარემოზე მავნე ზემოქმედება. ზღვის წყლის და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ანალიზები იქნა აღებული.

პროექტის ფარგლებში არ არსებობს დაცული ტერიტორიები, ჭაობები, მანგროს ხეები მდინარის შენაკადები ან არქეოლოგიურ/კულტურული მემკვიდრეობა. არ მოიცავს მიწის შექმნის და განსახლების საკითხებს. უახლოესი საცხოვრებელი სახლები სამშენებლო მოედნიდან მდებარეობს 300-400 მეტრში. ნიადაგის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით შეიზღუდა ხელმისაწვდომობა სამშენებლო ადგილზე და სამშენებლო მოედანი შემოიღობა..

კონტრაქტორის და ინჟინერის გარემოს მართვის სპეციალისტების მიერ შემდეგზე ჩატარდა მონიტორინგი:

- ჰაერის ხარისხი
- ზღვის წყლის ხარისხი
- ნიადაგის დაბინძურება
- ხმაური
- ფლორა და ფაუნა
- ზღვის ბიომრავალფეროვნება
- ლანდშაფტის სტრუქტურა
- სოციალური გარემო
- რადიაციის ფონი
- სამშენებლო ნარჩენები
- სამშენებლო უსაფრთხოება

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

ანგარიშის პერიოდში ადგილი არ ქონია სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ გარემოზე მავნე ზემოქმედებას. 27.03.15, 31.03.2015, 15.07.2015, 16.07.2015 თარიღებზე ლაბორატორიის კვლევითი ცენტრის მიერ აღებულ იქნა ატმოსფერული ჰაერის და ზღვის წყლის ანალიზები. ანალიზის შედეგები უზრუნველყოფილია გამოსახულება 1, 2-ზე და დანართებში. 2015 წლის მარტი-ივლისი მონაცემების თანახმად მოპოვებული შედეგები არ აჭარბებს ეროვნული გარემოს დაცვის სტანდარტებს (მაქსიმალური დასაშვები დონე) აქედან გამომდინარე არ საჭიროებს დამატებით შემამსუბუქებელ ზომებს.

ჰაერის ხარისხი

მასალები მოპოვებულია ლიცენზირებული მომწოდებლებისგან. მანქანის საბურავები და შასი იქნა გარეცხილი სამშენებლო მოედნის დატოვებამდე.

მტკერის კონტროლი ხდებოდა მისასვლელი გზების დანამვის საშუალებით. სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისას მანქანები დაფარული იყო სპეციალური ბრეზენტით ან სხვა სახის დამცავით რათა არ მომხდარიყო ჰაერში მასალების გავრცელება, მასალების ტრანსპორტირება ასევე ხდებოდა წინასწარ შერჩეულ და განსაზღვრულ მარშრუტებზე მანქანის შეზღუდული სიჩქარით.

მტკერის წარმოქმნა კონტროლდებოდა სამშენებლო მოედანზე ფხვიერი მასალის ჩამოტვირთვისას რაც გამოიხატებოდა ადგილის დანამვით. ყოველ დილით მოწმდება აღჭურვილობის ძრავები.

ზღვის წყლის ხარისხი

საზღვაო სამუშაოები ტეტრაპოდების განთავსების მოსამზადებლად როგორცაა ექსკავაცია, ქვების ჩალაგება ფსკერის გათანაბრება შესრულდა უდიდესი სიფრთხილით შრომის უსაფრთხოების EMP -ის და SSEMP -ის მოთხოვნების და რეგულაციების გათვალისწინებით, რათა ადგილი არ ქონოდა დაღვრებს, წყლის ამღვრევას.

საზღვაო სამუშაოების დროს -დრაგირება, ქვებით ამოვსება და ტეტრაპოდების განთავსება - ტარდებოდა ზღვის წყლის სიმღვრივის დონის მონიტორინგი. ამ სამუშაოების მანძილზე კონტრაქტორის გარემოს დაცვის სპეციალისტი აწარმოებდა სიმღვრივის დონის ვიზუალურ შემოწმებას და ყოველ 4 საათში სატესტო კონტროლს. იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების ათვლის წერტილიდან 250 მეტრში საზღვაო სამუშაოებისას გაზომილი სიმღვრივე 250 მგ/ლ - ით აჭარბებს სიმღვრივის ფონს, მაშინ კონტრაქტორს მიეცემა ინსტრუქცია სიმღვრივის შესამცირებლად მიიღოს შესაფერისი ზომები.

ზღვაში ბეტონის ტეტრაპოდების დამონტაჟების შემდეგ, სიმღვრივის გასაზომი ტესტები ტარდება ზემოთ ნახსენები სტანდარტების შესაბამისად. გაზომვების მანძილზე არ დადგენილა სტანდარტებიდან რაიმე სახის გადახვევა.

მანქანების საწვავით გამართვის ადგილი განთავსებულია ზღვის ნაპირიდან დაახლოებით 30 მეტრში, უზრუნველყოფილია ბეტონის შესაბამისი საფარი.

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

ნიადაგის დაბინძურება

საწვავი ინახება დახურულ კონტეინერებში წყალგაუმტარ ზედაპირზე. სანაპირო ზოლის პროექტის სპეციფიური მახასიათებლების გათვალისწინებით, პროექტის ფარგლებში ადგილი არ აქვს ნიადაგის დაბინძურებას.

ხმაური

პროექტის დაწყებისთანავე ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და საპატრულო პოლიციასთან შეთანხმდა სატრანსპორტო მარშრუტის გეგმა და განრიგი. მიუხედავად იმისა რომ დასახლება 1 კმ -ით მოშორებითაა შემოწმდა და შეკეთდა სატვირთო მანქანების ბორბლები და შასი ხმაურის და მოსახლეობის შეწუხების თავიდან აცილების მიზნით.

მძღოლებს მიეცათ გაფრთხილება სიჩქარის 20-25 კმ/სთ შეზღუდვის თაობაზე. მოხდა პროექტის სამუშაოების გაცნობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. იმისათვის რომ არ მომხდარიყო გეგმასთან მიმართებაში ჩამორჩენა კონტრაქტორს უწევდა ღამის საათებში მუშაობა, მაგრამ ზედამხედველის ინსტრუქციების მიხედვით მასალის ტრანსპორტირება ხდებოდა დღის საათებში. სამუშაოების განრიგის მიხედვით არაუმეტეს 5-6 სატვირთო მანქანა მუშაობდა იმავე ადგილზე და მათგან წამოსული ხმაური არ აჭარბებდა დადგენილ ზღვარს.

ფლორა და ფაუნა

პროექტის არეალში არ არის ხეები, ნარგავები, მცენარეები, ბუჩქები, ხმელეთის და ზღვის ცხოველები, რადგანაც ცოცხალი ორგანიზმებისათვის ცხელი ქვიშა მარილიანი წყალი და ქარი არახელსაყრელი პირობებია. აქედან გამომდინარე სანაპირო ზოლზე მხოლოდ მცირე რაოდენობა მოიძებნება ცოცხალი ორგანიზმების, ამგვარად სამშენებლო სამუშაოები არ ახდენენ ზემოქმედებას ფლორასა და ფაუნაზე.

სამშენებლო ადგილზე წარმოქმნილი ნარჩენები ინახება სპეციალურ სახიფათო, საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების შესანახ ტერიტორიაზე. სამშენებლო ნარჩენების ნაწილი (ინერტული მასალა) კონტრაქტორის მიერ გამოყენებული იყო მეორადი დანიშნულებისათვის. რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს კონტრაქტორის მიერ მათი შეგროვება ხდება ცალ-ცალკე სპეციალურ კონტეინერებში. სამშენებლო ადგილიდან სახიფათო ნარჩენები ამოღებულია მხოლოდ უფლებამოსილი პერსონალის მიერ უსაფრთხოების რეგულაციების შესაბამისად.

მშენებელ კონტრაქტორს ნარჩენების მართვის და საბოლოო განთავსებისათვის კონტრაქტები გაფორმებული აქვს ლიცენზირებულ კომპანიებთან. სახიფათო ნარჩენების მოშორებისთვის კონტრაქტი გაფორმებულია შპს "სანიტარი"-სთან, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა ხდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, ხოლო სამშენებლო ნარჩენების კი საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ.

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

ზღვის ბიომრავალფეროვნება

საზღვაო სამუშაოების დროს მოსალოდნელია ბიო ეკოლოგიის დაკარგვა, თუმცა უმნიშვნელო ზემოქმედების გამო არ საჭიროებს განსაკუთრებულ შემამსუბუქებელ ზომებს.

ლანდშაფტი

სამშენებლო სამუშაოებმა გამოიწვია ლანდშაფტზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

სოციალური გარემო

სოციალურ გარემოზე ადგილი არ აქვს რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებას, უახლოესი საცხოვრებელი სახლები განლაგებულია 300-400 მეტრის მოშორებით. კონტრაქტორის სატრანსპორტო საშუალებების ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობა არ შეიმჩნევა, დაახლოებით 3 სატვირთო მოძრაობს ყოველ 2 საათში. რაც ნიშნავს რომ არ გამოიწვევს არც ჰაერის დაბინძურებას და არც ხმაურს. შეიმჩნევა მხოლოდ დადებითი ზემოქმედება, კონტრაქტორის მიერ დაქირავებული პირების თითქმის 90 % ადგილობრივია და გაუმჯობესდა მათი საცხოვრებელი პირობები.

რადიაციის ფონი

სამშენებლო სამუშაოების მიერ არ შეცვლილა ტერიტორიის რადიაციული ფონი.

მშენებლობის უსაფრთხოება

სამშენებლო სამუშაოების შესრულება ხორციელდება მშენებლობის უსაფრთხოების მოთხოვნების და რეგულაციების შესაბამისად. მუშები აღჭურვილნი არიან პირადი დაცვის აღჭურვილობით, ხოლო პროექტის არეალი კი შემოღობილია და განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნები.

მიწისქვეშა წყლების განკარგვა

ადგილები რომელიც შეიძლება გახდეს გრუნტის წყლების დაბინძურების წყარო შემოღობილია მიწით და სპეციალური მასალით. სპეციალური ფილტრი მოწყობილია ბეტონის ქარხნის გარშემო დაბინძურებული წყლის შესაგროვებლად.

3. III ნაწილი: გარემოსდაცვითი მართვა

3.1 გარემოსდაცვითი მართვის სისტემა, SEMP-ები და სამუშაოების გეგმები

IEE-ები, EMP-ების ჩათვლით, კონტრაქტების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მათი განხორციელება კონტრაქტორებისათვის სავალდებულოა. როგორც ზევით იქნა აღნიშნული, კონტრაქტორი კომპანია წარუდგენს საზედამხედველო კომპანია დოკვას და მგფ-ს ყოველთვიური შუალედურ ანგარიშებს. ყოველთვიური ანგარიში მოიცავს ცალკე თავს

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

გარემოსდაცვითი შესრულების შესახებ. საკონსულტაციო კომპანია დოჰვა ამზადებს გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის განხორციელების წინსვლის კვარტალურ ანგარიშს და წარუდგენს MDF-ს.

გარემოსდაცვითი შეფასებისა და მიმოხილვის ჩარჩო დოკუმენტი საქართველოს მთავრობის მიერ 2010 წლის 16 აპრილს იქნა დამტკიცებული. დოკუმენტში ცვლილებები იქნა შეტანილი 2015 წლის აპრილში. აგბ-ს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის (2009) თანახმად, გარემოსდაცვითი კლასიფიკაცია ტრანშისათვის 3 B-ს წარმოადგენს, რადგანაც მის ქვეპროექტს არ ექნება არსებითი შეუქცევადი ან მუდმივი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე მშენებლობის დროს ან მის შემდეგ.

მომზადდა საწყისი გარემოსდაცვითი კვლევები (IEE) თბილისი-რუსთავის ურბანული ტიპის გზისათვის (მონაკვეთი 2) და ანაკლიის სანაპირო ზოლის გაუმჯობესებისათვის (ფაზა 2). ხორციელდება SUTIP T3-ის ფარგლებში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების პერიოდში განხორციელებული შემამსუბუქებელი ზომების მონიტორინგი. IEE-ები EMP-ების ჩათვლით წარმოადგენს SUTIP T3-ის ფარგლებში გაფორმებული ყველა კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს და შესაბამისად, მათი განხორციელება სავალდებულოა კონტრაქტორებისათვის. გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმები (EMP) დაექვემდებარება ცვლილებას მშენებელი კონტრაქტორების მიერ და შემდგომ ზედამხედველი კონსულტანტისათვის იქნება წარდგენილი დასამტკიცებლად, საჭიროებისამებრ.

SSEMP-ები მომზადდა სამშენებლო კომპანიის მიერ და 2015 წლის ივნისში დამტკიცებული იქნა საზედამხედველო საკონსულტაციო კომპანიის მიერ. დოკუმენტი MDF-ისათვის დასამტკიცებლად იქნა წარდგენილი ივნისის თვეში.

2015 წლის მარტში RETA 8663-ის ფარგლებში ჩატარდა ტრეინინგი გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ, ხოლო ტრეინინგი საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმთან დაკავშირებით RETA 8663 და 7433-ის ფარგლებში 2015 წლის 7 ივლისს ჩატარდა.

თბილისი-რუსთავის ურბანული ტიპის გზა (მონაკვეთი 2)

EPCM კონსულტანტი (დოჰვა) ასრულებს მეორე მონაკვეთის დეტალურ პროექტს. მომზადების პროცესშია ასევე სატენდერო დოკუმენტაცია. თუმცა, მისი დასრულება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულდება ტრასის გასწვრივ არსებულ საცხოვრებელ კორპუსებთან დაკავშირებული დამატებითი კვლევები.

თებერვალ-მარტის განმავლობაში, Nord Est Progetti S.r.l.-მა განახორციელა კვლევა და მოამზადა ანგარიში: შენობების კონსტრუქციული მდგრადობის და მათზე ხმაურისა და ვიბრაციის ზემოქმედების კვლევა თბილისი-რუსთავის გზის საპროექტო მონაკვეთზე (მონაკვეთი 2, კმ 5,2-6,9) რომელიც წარმოადგენილი იქნა 2015 წლის ივნისში¹.

¹ კვლევის საბოლოო დასკვნები და შედეგები წარმოადგენილი იქნა 2015 წლის სექტემბერში. საცხოვრებელ კორპუსებსა და მის მოზინადრეებზე ხმაურისა და ვიბრაციის ზემოქმედების შეფასების დამატებითი კვლევების დასრულების შემდეგ, ჩატარდა საჯარო კონსულტაციები ზემოქმედების ქვემეოფი ბინების მოზინადრეებთან. შეხვედრა ჩატარდა MDF-ის ოფისში, 2015 წლის 15 სექტემბერს.

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

2015 წლის აგვისტოში Nord East Progetti S.r.l.-მა განახორციელა ფონური ხმაურისა და ვიბრაციის დამატებითი კვლევა. გაზომვები ჩატარდა GMP-ის ფარმაცევტული კომპანიის ტერიტორიაზე, სხვადასხვა ადგილებში.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ კორპუსის 1 გამოკლებით, რომელიც დაინგრევა პირდაპირი ზემოქმედების გამო, დანარჩენი 8 კორპუსის კონსტრუქციული მდგრადობა არ მოექცევა სამშენებლო სამუშაოების ან გზის ექსპლოატაციის ზემოქმედების ქვეშ. შენობების მდგრადობა სტაბილურად შეფასდა. ვიბრაციის ზემოქმედების დონე მისაღებია ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ნორმების თვალსაზრისით. ერთადერთ საჭირო ზომას წარმოადგენს შენობებზე არსებული თვითნებური მინაშენების გამაგრება, რომლებიც მფლობელებმა არაღებულად ააშენეს და რომლებიც არ შეესაბამება სამშენებლო სტანდარტებს. ამ თვითნებური მინაშენების რისკები პირდაპირ კავშირში არ არის სამშენებლო სამუშაოებთან, არამედ ცალკე, დამოუკიდებელ პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მომავალში მობინადრეების პრეტენზიების თავიდან ასაცილებლად, MDF მზადაა უზრუნველყოს დროებითი გამაგრება სამშენებლო სამუშაოების პერიოდში.

ხმაურის ზემოქმედების შესამსუბუქებლად, საჭიროა სპეციალურად დაპროექტებული აკუსტიკური ბარიერების აგება. საცხოვრებელი კორპუსების მობინადრეებმა მისაღებად ჩათვალეს ბარიერების აგების გეგმა, იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ესთეტიკური ასპექტები და ბარიერების პროექტი შესაბამისობაში იქნება არეალის საერთო ლანდშაფტურ გეგმასთან.

კონსულტანტმა (დოკვა) მისიას წარუდგინა საბოლოო დეტალური პროექტის მონახაზი

და დეტალურად მოახდინა იმის პრეზენტაცია თუ როგორ იქნა შემუშავებული ურბანული ბულვარის და ფონიჭალის საცხოვრებელი კორპუსების გასწვრივ რეკრეაციული ზონის შექმნის კონცეფცია (იმ რეკომენდაციების საფუძველზე, რომელიც შეჯამებულია 2013 წლის ივნისის სესხის შემფასებელი მისიის ანგარიშში). კონცეფციის უმეტესი კომპონენტები მიღებული იქნა პროექტში (რეკრეაციული ზონები სამ დონეზე, კუთვნილებითა და სათამაშო მოედნებით, მდინარის ნაპირზე არსებული ველობილიკების, და ველოპარკების ჩათვლით, ასევე კარგად განთავსებული ავტობუსის გაჩერებები, დაცული სივრცე ფეხით მოსიარულეთათვის, ლამინირებული შუშის აკუსტიკური ბარიერები, რომელთა გადაჭრაც შესაძლებელია ²).

ამ მონაკვეთის პროექტი ინდივიდუალურმა კონსულტანტმა განიხილა და მას არ გააჩნია დამატებითი კომენტარები. MDF -მა და EPCM კონსულტანტმა განმარტეს, რომ ერთ დონეზე მყოფი ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები გათვალისწინებული არ არის უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე (პროექტი გულისხმობს საფეხმავლო ხიდეებს), რადგანაც ქალაქის მერიამ გადაწყვიტა სიჩქარის შეზღუდვა 110 -დან 80 კმ/სთ-მდე (და არა 50-60 კმ/სთ-მდე რაც

² საბოლოო DD MDF-ისათვის was presented to in September, 2015.

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

კონცეფციის ფარგლებში იყო რეკომენდირებული) რაც წარმოადგენს ქალაქ თბილისის ფარგლებში ამგვარი გზებისათვის მიღებულ სტანდარტს.

ADB-ის მისიამ სთხოვა MDF-ს ქვემოთმოყვანილის უზრუნველყოფა: (i) ავტობუსის გაჩერებების მოწყობა ორივე მხარეს; (ii) 110 კმ/სთ-იანი სიჩქარის შეზღუდვიდან 80 კმ/სთ სიჩქარის შეზღუდვაზე გადასვლა უნდა განხორციელდეს უახლესი უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით (ნიშნები, სიჩქარის დამგდებები, და მოციმციმე შუქის სიგნალები).

დეტალური პროექტის საბოლოო ვერსია და სატენდერო დოკუმენტაცია ADB-ისათვის განსახილველად წარდგენილი უნდა იქნას 2015 წლის სექტემბრის ბოლოსათვის. საბოლოო IEE მომზადების პროცესშია რათა მასში შეტანილი იქნას შემდგომი შემამსუბუქებელი ზომები (მინაშენების დროებითი გამაგრება ზოგიერთ საცხოვრებელ კორპუსში) და იგი ADB-ისათვის განსახილველად წარდგენილი უნდა იქნას 2015 წლის სექტემბრის ბოლოსათვის.³

3.2 სამშენებლო ობიექტის ინსპექტირება და აუდიტი

ობიექტის ზედამხედველობა და ინსპექტირება, ისევე როგორც სამშენებლო სამუშაოების შესატყვისობის მონიტორინგი, EMP/SSEMP-ების მოთხოვნების სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს. სამშენებლო და საზედამხედველო კომპანიების გარემოსდაცვითი მართვის გუნდები ახორციელებენ მუდმივ საზედამხედველო საქმიანობასა და პროექტის შესრულების რეგულარულ მონიტორინგს.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საზედამხედველო კომპანიის გარემოს დაცვის სპეციალისტმა 12 ვიზიტი განახორციელა ობიექტებზე, და 17 შეუსატყვისობის შეტყობინება გამოსცა. კონტრაქტორმა ყველა შეუსატყვისობა დანიშნულ ვადებში გამოასწორა.

სამშენებლო კომპანიის გარემოს დაცვის სპეციალისტი ობიექტზე მუდმივად იმყოფება და რეგულარულად ახორციელებს სამშენებლო საქმიანობის ინსპექტირებას. იგი ინსპექტირებას აწარმოებს საკონტროლო სიების თანახმად. შევსებული საკონტროლო სიები ხელმისაწვდომია ბანაკის ტერიტორიაზე.

MDF-ის გარემოსდაცვითი გუნდი უზრუნველყოფდა, რომ კონტრაქტორს გაეთავისებინა თუ რა უნდა გაკეთდეს პროექტის განხორციელების პერიოდში წამოჭრილი ნებისმიერი გარემოსდაცვითი საკითხის შესასწორებლად და გადასაჭრელად.

³ საბოლოო IEE მომზადებულია და წარმოდგენილი იქნა MDF-ში სექტემბრის ბოლოს. დოკუმენტი ADB -ს წარედგინება 2015 წლის ოქტომბრის დასაწყისში.

ნახევარწლიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში

აგბ-ს გარემოს დაცვის შესაბამისობის უზრუნველყოფის განხილვის მისია საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა 2015 წლის 20 აპრილიდან 5 მაისამდე. 2015 წლის 6 მაისს აგბ-ს გარემოს დაცვის უფროსი სპეციალისტმა ბატონმა პუნგმა, აგბ-ს ადგილობრივი გარემოს დაცვის უსაფრთხოების კონსულტანტთან ქ. დგებუაძესთან ერთად ანაკლიაში ჩაატარა მონიტორინგი. მისია შეხვდა მფგ-ს წარმომადგენლებს, EPCM კონსულტანტს (ინჟინერი) და კონტრაქტორს სადაც განხილულ იქნა პროექტის განხორციელების პროგრესი.

მისიის შენიშვნების თანახმად ანაკლიის სანაპირო ზოლის გაუმჯობესების პროექტის ყველა რეკომენდაცია რომელიც გაცემული იქნა უკანასკნელ მისიაზე, დამაკმაყოფილებლად განხორციელდა.

- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩანაწერთა სისტემა: ყველა საჭირო დოკუმენტი მათ შორის IEE, EMP, SEMP ყოველთვიური შუალედური ანგარიშები, კვარტალური ანგარიშები, საჩივრების ჟურნალი, ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებული კონტრაქტები და მონიტორინგის მონაცემები ხელმისაწვდომია ანაკლიის ბანაკის ტერიტორიაზე.
- 2014 წლის მაისში მშენებელმა კონტრაქტორმა დაიქირავა ადგილობრივი სპეციალისტი რომელიც მუდმივად იმყოფება სამშენებლო ადგილზე და საკონტროლო ჩამონათვალის შესაბამისად აწარმოებს ყოველდღიურ მონიტორინგს. დოკვამ მობილიზება გაუწია საერთაშორისო კონსულტანტს. ყველა შეუსაბამობის შეტყობინება და გამოსასწორებელი ზომები აღწერილია კვარტალურ ანგარიშებში რომელიც მფგ-ს წარედგინება.
- **საჩივრების ჟურნალი:** არსებობს აგბ-ს ნიმუშის შესაბამისი საჩივრების წიგნი და შეთავაზებები რომელიც ADB-ის ტრაფარეტის მიხედვით მომზადებულია სამშენებლო და სახედამხედველო კომპანიების ახალი გარემოს დაცვის სპეციალისტის მიერ. საჩივრების ჟურნალის გაცნობა მოხდა ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელმძღვანელობისათვის. ადგილობრივი მოსახლეობისგან უკანასკნელი 7 თვის მანძილზე არ შემოსულა არანაირი გარემოსდაცვითი საჩივარი.
- კონტრაქტორის მიერ უზრუნველყოფილი იქნა სახმელეთო და საზღვაო სამუშაოებთან დაკავშირებული რეგულარული ტრენინგი უსაფრთხოების საკითხებზე;
- მშენებელი კონტრაქტორის მიერ სამშენებლო სამუშაოების დაწყების შემდეგ შემუშავდა **SSEMP** პირველი ფაზისთვის და დასამტკიცებლად ჩაბარდა ზედამხედველ კონსულტანტს.
